ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2368083

ნომერი: AR1350250

თარიღი : 20.10.2015

გაცემის თარიღი : 30.12.2015

გაცნობის თარიღი : 30.12.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩახრუხაძე , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თენგიზ გეგეჭკორი პ/ნ 01008027202
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 16

ორგანიზაცია:
- შპს სოფტ ინტერნეიშენალ ბილდ კოდი: 205186350

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს ,,სოფტ ინტერნეიშენალ ბილდ,,
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205186350
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: სოსო გეგეჭკორი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008027202

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 106.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 254.1
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1215.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1122.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 93.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 12.34
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 9.24
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.1

,,კულტურულიმემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოებისნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოსკულტურისა და ძეგლთა დაცვისსამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებულიადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისადა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისსამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმადქ. თბილისში, ჩახრუხაძის ქ. N29–ში მდებარე შენობის დემონტაჟის პროექტის შეთანხმების საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისადა ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისმერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N34, 25.12.2015წ), რომლის გადაწყვეტილებისსაფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი რეკომენდაციით: „წარმოდგენილი უნდა იქნეს დემონტაჟის დასაბუთება, კონსტრუქციული დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ შენობა საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან აღნიშნული ტერიტორიის განვითარების გეგმა ესკიზის წარმოდგენით."
სამსახურმაგაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. თ. გეგეჭკორს უარი უნდა ეთქვასთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას, მოქ. თენგიზ გეგეჭკორს ქ. თბილისში, ჩახრუხაძის ქ. N29–ში არსებული შენობის დემონტაჟის პროექტის შეთანხმების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.